ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ ს-19/01182551579-17

"24." 10. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპ. N19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 19, მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ., კორპუსი N19-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.08.005.130) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი სახცოვრებელი სახლის „ა" ბლოკი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3542180 15.09.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპ. N19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 19, მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ., კორპუსი N19-ის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„5-1" ფასადი: „4-3" მონაკვეთში „4" ღერძთან დამტებით მოწყობილია გამწოვი მილი.

გეგმების მიხედვით: -2.800 ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში „5" ღერძის გარეთ შეცვლილია სამანქანო პანდუსის ფორმა და სიგრძე.

დამატებით მოწყობილია რიგელები.

±0.00 ნიშნულზე „ა" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია პანდუსი და სარინელი. „2-1" მონაკვეთში გაზრდილია კარის სიმაღლე.

„+25.350 ნიშნულზე „2-3" და „დ-ბ" მონაკვეთებში გაზრდილია კიბის უჯრედის და ლიფტის ოთახი, ასევე შეცვლილია კარის მდენარეობა. „3" ღერძზე გაუქმებულია ფრამუგა, ხოლო ლიფტის ელ.დანადგარის ოთახში შეცვლილია მონოლიტური ფილის ნიშნული. იგივე ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კოლონები, ასევე „დ-ა" ფასადზე „2" ღერძზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. გაზრდილია ოთახის სიმაღლე.

სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია შახტების გაბარიტები, სიმაღლე და მდებარეობა.

ნაწილობრივ შეცვლილია პარაპეტის სიმაღლე.

შენობის უკანა მხარეს შეცვლილია ეზოს კეთილმოწყობა.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ეი თი დეველოპმენტი"-ს, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპ. N19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 19, მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ., კორპუსი N19-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.08.005.130) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი სახცოვრებელი სახლის „ა" ბლოკი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01182551579-17 12.09.2018წ. განცხადება.

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე